„სოიუზ-19“ დედამიწაზე დაბრუნდა

21 ივლისს, 13 საათსა და 51 წუთზე მოსკოვის დროით, კოსმოსური ხომალდი „სოიუზ-19“, რომელშიც იყვნენ კოსმონავტები ა. ლეონოვი და ვ. კუბასოვი, რბილად დაეშვა ყაზახეთის ტერიტორიაზე, ქალაქ არკალიკის ჩრდილო-აღმოსავლეთით. (საქინფორმი).

კაკო შამუგია ჩემპიონია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 144 (5434)

22 1975 წ. ივლისი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა

● ●

სპარტაკიადის ტაბლო

ადგილები, ქულები

	აკად. ნიჩბოსნ. (II ჯგუფი)	ტანვარჯიში	სულ
რსფსრ	115	350	7914,5
მოსკოვი	50	352	6203
უკრაინა	99	164	6176,5
ლენინგრადი	97	220	4475,5
ბელორუსია	68	456	3477
ყაზახეთი	59	172	2677
საქართველო	37	138	2509
უზბეკეთი	19	154	2262,5
ლატვია	85	24	2046
ლიტვა	45	—	1969,5
მოლდავეთი	53	—	1805
ესტონეთი	62	—	1501
აზერბაიჯანი	46	—	1448
სომხეთი	4	84	1384
ყირგიზეთი	—	—	1067
ტაჯიკეთი	5	—	936,5
თურქმენეთი	13	—	549

სპარტაკიადის ფინიშზე უაღრესად დაიძაბა ვითარება საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილებისთვის მებრძოლ კოლექტივებს შორის. საკავშირო ახალგაზრდული თამაშებიდან მოყოლებული, რუსეთის ფედერაციის სპორტსმენთა მეტოქე უმთავრესად უკრაინის დელეგაცია იყო, მაგრამ რუსეთის წარმომადგენლებმა მაღალი შედეგები მოიპოვეს მთელ რიგ სახეობებში და უკრაინელებს მხოლოდ II ადგილზე შეეძლოთ ფიქრი. მით უმეტეს, რომ სპარტაკიადის ფინიშზე ძლიერი ტემპი აიღო მოსკოვის დელეგაციამ.

ტანმოვარჯიშეთა ტურნირმა ბოლოს და ბოლოს ცვლილება მოახდინა ცხრილის ზედა საფეხურზე. მოსკოველებმა საერთო ჯამში 352 ქულა დააგროვეს (უკრაინელებმა — 164) და II ადგილზე გადაინაცვლეს. სხვაობა მოსკოვისა და უკრაინის დელეგაციებს შორის არც ისე დიდია (სულ 27 ქულა), მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: უკრაინის დელეგაციამ III ადგილზე გადაინაცვლა.

ტანმოვარჯიშეთა ტურნირმა დიდი გამარჯვება მოუტანა ბელორუსიის გუნდს, რომელმაც 456 ქულა დააგროვა, 104 ქულით მეტი, ვიდრე II ადგილზე გასულმა მოსკოვის კოლექტივმა. ამ წარმატებამ კიდევ უფრო მტკიცე გახადა ბელორუსიის სპორტული დელეგაციის V საპრიზო ადგილი.

დაამთავრეს ტურნირი ნიჩბოსნებმაც. II ჯგუფის ასპარეზობის საბოლოო შედეგებს მკითხველი ამ ცხრილში გაეცნობა. რაც შეეხება I და II ჯგუფების ასპარეზობათა საბოლოო შედეგებს, იგი ასეთია: მოსკოვი — 461 ქულა, რსფსრ — 433,5, ლენინგრადი — 395, უკრაინა — 331,5, ლიტვა — 247, ლატვია — 145, ესტონეთი — 121, ყაზახეთი — 102, ბელორუსია — 84, მოლდავეთი — 83, უზბეკეთი — 51,5, აზერბაიჯანი — 46, საქართველო — 39, თურქმენეთი — 13, ტაჯიკეთი — 5, სომხეთი — 4. უქულოდ დარჩა მხოლოდ ყირგიზეთის გუნდი.

ცალკეულ იარაღებზე

ბოლოს ლენინგრადის სპორტის სასახლე „იუბილეინის“ ფიცარნაგზე ტანმოვარჯიშე ქალებმა გაითამაშეს სპარტაკიადის მედლები ცალკეულ იარაღებზე. შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ჩიმკენტელმა ნ. კიმმა, რომელმაც I ადგილები დაიკავა ორძელზე და თავისუფალ ვარჯიშში, ხოლო დვირზე პირველობა გაიყო გროდნოელ ო. კორბუტთან.

ბჯენით ხტომაში ყველას აჯობა როსტოველმა ლ. ტურიშჩევამ, რომელმაც ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრების აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს მიაღწია — 9,9 ქულა!

მერე ცალკეულ იარაღებზე ვაჟებმა იასპარეზეს. I ადგილები დაიკავეს ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა (თავისუფალი ვარჯიში და ღერძი), ლენინგრადელმა ა. დიტიატინმა (ტაიჭი), ერევნელმა მ. გრიგორიანმა (რგოლები), ბელორუსიის წარმომადგენელმა ნ. ნედბალსკიმ (ორძელი) და თბილისელმა პ. შამუგიამ (ბჯენითი ხტომა).

* * *

სურათზე: სპარტაკიადის ოქროს მედალოსანი პ. შამუგია.

მ. ზარგარიანის ფოტო.

გამარჯვება გაიყვეს

ლენინგრადი, 19 ივლისი. სსრ კავშირის ხალხთა წინა ხუთ სპარტაკიადაში ასეთი რამ არ მომხდარა. ახლა კი მოხდა — სპორტის სასახლე „იუბილეინიში“ მრავალჭიდში ტანმოვარჯიშე ქალთა შორის გამარჯვებისთვის ორი ოქროს მედალი გაიცა. უმაღლესი ჯილდოები დაიმსახურეს გროდნოს პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა ო. კორბუტმა და ჩიმკენტელმა ტანმოვარჯიშემ, ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა ნ. კიმმა. მათ 76,825-76,825 ქულა დააგროვეს.

ბრინჯაოს მედალი ხვდა ლ. ტურიშჩევას (დონის როსტოვი) — 76,4.

ექვსეულში შემდეგი ადგილები დაიკავეს ასევე ცნობილმა ტანმოვარჯიშეებმა: ლ. გორბიკმა (ბელორუსია) — 75,875, მოსკოველებმა ე. საადიმ — 75,4, ლ. ბოგდანოვამ — 74,875.

ფინალური პირადი შეჯიბრება მაჟორულად დაიწყო. კორბუტის თავსატეხი ხტომების შემდეგ საუკეთესო შეფასება დაიმსახურა კიმმა და ტურიშჩევამ — 9,8-9,8. მერე თავი იჩინა მღელვარებამ. კორბუტმა შეჯიბრების შემდეგ თქვა: „სულ ვკანკალებდი. ბრძოლა ძალიან მწვავე იყო, გამარჯვება კი სულით და გულით მინდოდა — მე ხომ ჯერ არასდროს ვყოფილვარ პირველ ადგილზე საკავშირო შეჯიბრებაში“.

შედარებით მშვიდად იყო მხოლოდ კიმი, რომელიც გუნდურ ტურნირში უძლიერესთა ჯგუფში არ გამოდიოდა. ორძელზე, კორბუტის საყვარელ იარაღზე, ნელიმ შეძლო არ ჩამორჩენოდა სახელგანთქმულ მეტოქეს. თითოეულმა მათგანმა 9,6 ქულა მიიღო. ტურიშჩევა 0,2 ქულით ჩამორჩა.

„ვერაგმა“ დვირმა აქაც არ უღალატა წესს. კორბუტი მალაყის შემდეგ ფიცარნაგზე ჩამოხტა, რისთვისაც ნახევარქულიანი ჯარიმაა დაწესებული. შემდეგ კიდევ სხვა პატარა შეცდომაც დაუშვა და შედეგად 9,1 ქულა მიიღო. მხოლოდ 9 ქულა დაიმსახურა საადიმ, თუმცა გუნდური შეჯიბრების დროს ამ იარაღზე უმაღლესი შეფასება — 9,8 ქულა ჰქონდა. კიმს 9,6 ქულა ხვდა და დაწინაურდა. კორბუტს გაუსწრო ტურიშჩევამ, რომელმაც დვირზე 9,5 ქულა მიიღო.

უძლიერესნი ბოლო მომენტში გამოვლინდნენ — თავისუფალი ვარჯიშის შესრულების დროს. კიმი პირველი გამოვიდა და მართლაც ჩემპიონური შეფასება დაიმსახურა — 9,7 ქულა. ახლა ტურიშჩევას I ადგილზე გასვლისთვის 9,8 ქულა სჭირდება. მსოფლიოს და ოლიმპიადის ჩემპიონისთვის, როცა ფორმაშია, ეს სულ ადვილი საქმეა, მაგრამ ამჯერად ტურიშჩევა თავის შესაძლებლობებს მთლიანად ვერ ავლენს — 9,6.

სამაგიეროდ, კორბუტმა თავისუფალი ვარჯიშისთვის სასპარტაკიადო ტურნირის აბსოლუტურად უმაღლესი შეფასება დაიმსახურა — 9,85. მისი ვარჯიში უდიდესი სირთულითა და სილაღით გამოირჩეოდა.

— რაღა დამრჩენოდა, ხალიჩაზე კარგად გამოსვლისა და... ღიმილის მეტი, — თქვა ოლგამ დაჯილდოების შემდეგ.

ს. გავრიკოვი,
ვ. დვორცოვი.
(საქდესის სპეც. კორ.).

შეჯიბრება ღრუბლებში

ორიოლი, 20 ივლისი. სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით აქ დაიწყო სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა წარმომადგენლების — პლანერისტების შეჯიბრება. პროგრამის პირველ სახეობაში — „200-კილომეტრიან სამკუთხედში სწრაფფრენაში“ — ყველას აჯობა ა. ბელიაკოვმა (ბელორუსია).

თასი და სპარტაკიადის ოქროს მედალი

ლენინგრადი, 20 ივლისი. „ყველაფრით კმაყოფილი ვარ“, — თქვა ტანმოვარჯიშეთა სასპარტაკიადო ტურნირის დამთავრების შემდეგ სპორტის სასახლე „იუბილეინში“ გამართულ პრეს-კონფერენციაზე ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტმა ა. დიტიატინმა. ამ სიტყვებს არავინ გაუკვირვებია. დიტიატინს (მწვრთნელი ა. იაროვსკი) 7 აგვისტოს უსრულდება 18 წელი, მაგრამ ამ გაზაფხულზე მან უკვე სსრ კავშირის თასი მოიპოვა. ახლა ახალგაზრდა სპორტსმენმა ქვეყნის ჩემპიონის ოქროს მედალიც დაიმსახურა. საკავშირო შეჯიბრებებს შორის დიტიატინს დებიუტი ჰქონდა ევროპის ჩემპიონატში და შვეიცარიიდან მრავალჭიდში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი ჩამოიტანა.

სპარტაკიადის პირად ჩათვლაში ვაჟთა შორის უმაღლესი პრიზის ბედი გადაწყდა შაბათს, როცა 18 უძლიერესი ნებისმიერი პროგრამით ასპარეზობდა. ამ დროისთვის ლენინგრადელი ნახევარ ქულაზე მეტით უსწრებდა მთავარ კონკურენტს ვ. კლიმენკოს და სხვაობის შემცირების საშუალება არ მისცა.

დიტიატინის ქულათა ჯამია 111,15. სსრ კავშირის ნაკრებმა კარგი შევსება მიიღო. დიტიატინის ოსტატობას

(დასასრული მე-4 გვ.).

VII-XII ადგილები

ბელორუსია	3	3	0	245—207	3
ესტონეთი	3	2	1	215—213	2
სომხეთი	3	1	2	220—216	1
უზბეკეთი	3	1	2	237—225	1
რსფსრ	3	1	2	210—236	1
მოლდავეთი	3	1	2	216—246	1

XIII-XVII ადგილები

ყაზახეთი	2	2	0	172—152	2
ყირგიზეთი	3	2	1	224—226	2
აზერბაიჯანი	2	1	1	172—178	1
თურქმენეთი	3	1	2	198—255	1
ტაჯიკეთი	2	0	2	138—143	0

* * *

სურათზე: „ლელოს“ პრიზი, რომელიც ა. მიშკინს გადაეცა.

მოსკოვის ნაკრები ერთპიროვნული ლიდერია

„ლელოს“ პრიზი ანატოლი მიშკინს გადაეცა

კიევი, 21 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მოსკოვის კალათბურთელთა ნაკრები ტურნირის უპირველესი ფავორიტია. წარმოიდგინეთ, ცსკა-ს და მოსკოვის „დინამოს“ საუკეთესო მოთამაშეებით დაკომპლექტებული გუნდი და გასაგები იქნება, რა ძალას წარმოადგენს ეს კოლექტივი. გუშინ საქართველოს ნაკრებს მოსკოველებთან ბრძოლა იმ მიზეზითაც გაუჭირდა, რომ მის რიგებში არ გამოდიოდა დაშავებული მ. ქორქია და ამ შესანიშნავი კალათბურთელის გარეშე ასეთ მრისხანე კოლექტივთან ჭიდილი, ცხადია, ძალიან ძნელი იყო. თანაც, მომდევნო მატჩი ჩვენს გუნდს ლიტვის ნაკრებთან აქვს და ამ შეხვედრის შედეგზე დამოკიდებულია სპარტაკიადის ბრინჯაოს მედლების ბედი.

ეს იყო მიზეზი, რომ ჩვენებმა [illegible] მაინცდამაინც არ შეაკლეს მეტოქეს.

ასევე მოიქცა ლიტვის გუნდი, რომელიც ლენინგრადის ნაკრებთან შეხვედრაში მხოლოდ მატჩის პირველ წუთებში იბრძოლა და შემდეგ ასპარეზი სათადარიგო მოთამაშეებს დაუთმო. ლენინგრადელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 95:67 (49:29).

მოსკოვისა და საქართველოს გუნდების შეხვედრის პირველი წუთები გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. ძიძიგური, ბიჭიაშვილი, ქარაბაკი ზუსტი ტყორცნით ქულას ქულაზე აგროვებდნენ და მე-11 წუთისთვის ჩვენები 6 ქულით დაწინაურდნენ — 24:18. მაგრამ 5 წუთის შემდეგ უკვე მოსკოველები გავიდნენ წინ და 12 ქულის სხვაობით მოიგეს პირველი ტაიმი — 43:31.

შესვენების შემდეგ სურათი არ შეცვლილა: წინ სულ მოსკოველები იყვნენ. მატჩიც მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 90:76.

მთავარ ფინალში პირველი ქულა აიღო უკრაინის ნაკრებმა. მან დაამარცხა ლატვიის გუნდი — 95:83 (49:46).

როგორც ცნობილია, ჩვენმა რედაქციამ დააწესა სპეციალური პრიზი საკავშირო ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირისთვის. 42-ე ჩემპიონატში ეს ჯილდო დაიმსახურა სვერდლოვსკის „ურალმაშის“ ცენტრალურმა თავდამსხმელმა ანატოლი მიშკინმა, რომელიც აქ რსფსრ-ს ნაკრების შემადგენლობაში გამოდის. გუშინ მას სადღესასწაულო ვითარებაში გადაეცა პრიზი. მაყურებლებმა გულთბილად მიულოცეს წარმატება „ლელოს“ პრიზის პირველ ლაურეატს.

სხვა მატჩები: რსფსრ — უზბეკეთი 69:91 (38:49), ესტონეთი — ბელორუსია 72:94 (41:48), მოლდავეთი — სომხეთი 73:94 (26:48), ყირგიზეთი — ყაზახეთი 75:91 (42:50), ტაჯიკეთი — თურქმენეთი 75:79 (33:41).

ზ. ჯაფარიძე.

ფინალური ტურნირები

I-VI ადგილები

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
მოსკოვი	3	3	0	258—209	3
ლენინგრადი	3	2	1	258—215	2
საქართველო	3	2	1	242—237	2
ლიტვა	3	1	2	207—267	1
უკრაინა	3	1	2	242—234	1
ლატვია	3	0	3	235—280	0

● ●

სულ ცოტა — ბრინჯაოს მედლები

კიევი, 21 ივლისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს საღამოს საქართველოს ნაკრებმა ლიტველებს სძლია — 78:75 (41:40). ამ მოგების წყალობით ჩვენს გუნდს, სულ ცოტა, ბრინჯაოს მედლების მოპოვება უკვე უზრუნველყოფილი აქვს.

(ეს შედეგი ცხრილში არ არის შეტანილი).

ისევ „შევარდენის“ შესახებ

1922 წლის 11 თებერვალსა და 24-26 მაისს მენშევიკებმა თბილისში მოაწყვეს ქუჩის უბადრუკი დემონსტრაციები, რომლებშიც მონაწილეობდნენ სტუდენტები, გიმნაზისტები, მათ შორის იყვნენ საზოგადოება „შევარდენის“ წევრებიც (რა თქმა უნდა, უფრო მეტი ხნისანი).

1922 წლის 11 თებერვალს ბათუმში მოეწყო მოსწავლეთა ანტისაბჭოური დემონსტრაცია, რომლის მონაწილეთა შორის „შევარდენის“ წევრებიც იყვნენ.

1922 წლის სექტემბერსა და ნოემბერში საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში კომკავშირელები აწყობდნენ კრებებსა და მიტინგებს, სადაც იღებდნენ რეზოლუციებს „შევარდენის“ ორგანიზაციის დაშლის შესახებ. კომკავშირელები საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისგან მოითხოვდნენ „შევარდენის“ დაუყოვნებლივ გაუქმებას და ახალი პროლეტარული სპორტული საზოგადოების შექმნას.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა სწორად მიიჩნია „სკაუტის“ ორგანიზაციის ლიკვიდაცია. რაც შეეხება საზოგადოება „შევარდენს“, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს შესაძლებლად მიაჩნდა მისი რეორგანიზება.

„შევარდენის“ მოღვაწეობის საკითხებს განიხილავდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ თათბირებსა და პრეზიდიუმის სხდომებზე.

1922 წლის 20 ივნისს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით მოისმინა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მოხსენება საზოგადოება „შევარდენის“ ლიკვიდაციის შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა შემდგარიყო კომისია და წარმოედგინა „შევარდენის“ რეორგანიზაციის გეგმა, აგრეთვე, გამოემუშავებინა ჭაბუკთა ანტისაბჭოურ ორგანიზაციებთან ბრძოლის ღონისძიებანი.

1922 წლის სექტემბერში თბილისში მოეწყო ამიერკავკასიის კომკავშირის II ყრილობა. მთელ რიგ აქტუალურ პრობლემებს შორის ყრილობამ განიხილა ახალგაზრდობის ანტიკომუნისტურ ორგანიზაციათა საკითხიც. ყრილობამ აუცილებლად მიიჩნია ახალგაზრდობის ყველა ანტიკომუნისტური ორგანიზაციის დაშლა. მათ შორის აღმოჩნდნენ სპორტული ორგანიზაციები „შევარდენი“ და „სკაუტიც“.

რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტი და ის ამხანაგები, რომლებმაც წამოაყენეს „შევარდენის“ გაუქმების საკითხი, არ იცნობდნენ ამ საზოგადოებაში სინამდვილეში არსებულ მდგომარეობას. მიუხედავად საქართველოს დელეგაციის პროტესტისა, რომელიც მოითხოვდა „შევარდენის“ რეორგანიზაციას და არა დაშლას, დელეგატების უმრავლესობა არ დაეთანხმა მის წინადადებას. 1922 წლის 10 ოქტომბერს საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრმა დ. გვაზავამ წერილით მიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ გადაესინჯა ამიერკავკასიის II ყრილობის დადგენილება. წერილში ნათქვამი იყო, რომ „შევარდენის“ ორგანიზაციის წევრთა 71 პროცენტს 16 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენდნენ და მათ არავითარი პოლიტიკური სახე არ ჰქონდათ[1].

„შევარდენის“ საქმიანობის გულმოდგინედ შესწავლის შემდეგ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აუცილებლად მიიჩნია ამ სპორტული საზოგადოების რეორგანიზება.

1922 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით, მოისმინა რა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნის გ. დევდარიანის მოხსენება „შევარდენის“ რეორგანიზაციის შესახებ, მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ წარდგენილი „შევარდენის“ რეორგანიზაციის პროექტი დამტკიცდეს და აღიძრას შუამდგომლობა ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინაშე „შევარდენის“ გაუქმების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ“.

რეორგანიზაციის საერთო ხელმძღვანელობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა[2].

1922 წლის 2 ნოემბერს (ოქმი № 89) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მ. ორახელაშვილის, გ. სტურუას, მ. კახიანის, გ. კურულოვის შემადგენლობით კვლავ განიხილა „შევარდენის“ რეორგანიზაციის საკითხი. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა დაადგინა ჩატარებულიყო „შევარდენის“ რეორგანიზაცია და მის ნაცვლად შექმნილიყო „წითელი სპორტული საზოგადოება „სპარტაკი“. დადგენილება აყენებდა წინადადებას, რომ გამოყენებული ყოფილიყო „შევარდენის“ ინსტრუქტორთა შემადგენლობა[3]. ფიზკულტურული მოძრაობის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს დაევალა.

რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პოლიტიკურ ანგარიშში ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციის II ყრილობისადმი 1923 წლის 19 მარტს სერგო ორჯონიკიძე აცხადებდა: „ჩვენ გვქონდა საქართველოში სპორტული საზოგადოება „შევარდენი“. ეს საზოგადოება მენშევიკური იყო“[4]. სერგო ორჯონიკიძეს შესანიშნავად ესმოდა, რომ „შევარდენი“ პარტიულ-პოლიტიკური ორგანიზაცია არ იყო, მისი წევრები „ახალგაზრდა მარქსისტთა“ ორგანიზაციაში არ შედიოდნენ, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, იგი ითვალისწინებდა, რომ „შევარდენი“ შექმნილი იყო საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში, რომ ამ საზოგადოებაში შედიოდნენ უმთავრესად თავად-აზნაურთა ფენიდან და ბურჟუაზიიდან გამოსული მოსწავლეები, რომლებიც ქართული მენშევიზმის იდეის გავლენას განიცდიდნენ.

1923 წლის მარტსა და აპრილში ჩამოყალიბდა თბილისის „სპარტაკის“ სპორტული ორგანიზაცია. მაგრამ, ვინაიდან, ხელმძღვანელობა საჭირო სიმაღლეზე არ იდგა, რაიონული ორგანიზაციები დამაკმაყოფილებლად ვერ მუშაობდნენ. პირველ რაიონში „სპარტაკის“ საქმიანობაში წარმოიშვა გადახრა მეკულტურეობისკენ. მე-3 და მე-4 რაიონებში სპორტული კოლექტივები საწარმოებისთვის არ მიუმაგრებიათ, ბავშვები სპორტული დარბაზების ირგვლივ იყრიდნენ თავს და იქ მუშაობა „შევარდენის“ საქმიანობის გამეორება იყო[5]. ნაწილი ინსტრუქტორებისა, რომლებიც მანამდე საზოგადოება „შევარდენში“ მუშაობდნენ წინააღმდეგი იყო ფიზიკურ აღზრდაში ახალი ფორმების მიღებისა. სხვები თავს არიდებდნენ მუშაობას.

კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი განუმარტავდა საზოგადოება „შევარდენის“ ყოფილ ინსტრუქტორებს „სპარტაკის“ ორგანიზაციის საკითხში მათ მცდარ შეხედულებებს. ამასთან, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი სათანადო ხელმძღვანელობას ვერ უწევდა საზოგადოება „სპარტაკს“.

პროფკავშირების ხელმძღვანელები სათანადო ყურადღებას არ აქცევდნენ ფიზკულტურულ წრეებს, სჯერდებოდნენ მხოლოდ მათი სუსტი მუშაობის აღნიშვნას, მითითებებს იძლეოდნენ, მაგრამ ფიზიკური კულტურის პრაქტიკული განვითარებით დაინტერესებას არ იჩენდნენ.

1923 წლის 23 ივნისს საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტთან შექმნილიყო ფიზიკური კულტურის საბჭო. ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე გამაჯანსაღებელ ფუნქციებთან ერთად დაისახა მნიშვნელოვანი ამოცანები — მოემზადებინათ საბჭოთა ხალხი მაღალნაყოფიერი შრომისთვის და სოციალისტური სამშობლოს დაცვისთვის.

გ. და თ. ნიკოლაძეები, გ. ეგნატაშვილი, გ. მერკვილაძე და ბევრი სხვა აქტიურად მონაწილეობდნენ ახალი სპორტული საზოგადოების შექმნაში. ისინი კომუნისტები არ იყვნენ და არც სოციალ-დემოკრატები ყოფილან. ისინი იყვნენ ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც შემდეგში საქართველოს რესპუბლიკის საზოგადოებრივი მოღვაწეები გახდნენ. ისინი არც ძალას იშურებდნენ, არც ენერგიას, არც დროს, ცხოვრებას მთლიანად საქართველოში ფიზიკური აღზრდის საქმის წინსვლას უძღვნიდნენ. 1923 წლის 18 სექტემბერს მოეწყო სპორტის ინსტრუქტორთა საქალაქო კრება, რომელზეც მათ განაცხადეს, რომ აუცილებლად მიაჩნდათ კომკავშირთან ენერგიული თანამშრომლობა. რეზოლუციაში ნათქვამი იყო რომ ამიერიდან ინსტრუქტორები იგრძნობდნენ წარსულ შეცდომებს, მიიღებდნენ „სპარტაკის“ პრინციპებს და იზრუნებდნენ მისი განმტკიცებისთვის კომკავშირთან ერთად[6].

1923 წლის 3 დეკემბერს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ დაამტკიცა ი. სტურუა.

1925 წელს ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს სათავეში ჩაუდგა შ. ელიავა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თავის მოგონებაში გ. მერკვილაძე ამახინჯებს შ. ელიავას აზრს, როცა ამბობს, თითქოს მან „შევარდენს“ პარტიული ორგანიზაცია უწოდა[7]. შ. ელიავა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე და საქართველოს კომპარტიის ბიუროს წევრი, პირადად მონაწილეობდა „შევარდენის“ რეორგანიზაციაში და „სპარტაკის“ შექმნაში.

ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო სერიოზულ ყურადღებას უთმობდა ფიზკულტურასა და სპორტს. ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარება მოზარდი თაობის აღზრდის განუყოფელ ნაწილად იქცა. ქართველი ხალხი თვალისჩინივით უფრთხილდება მრავალსაუკუნოვან სპორტულ ტრადიციებს, თაობიდან თაობას გადასცემს მათ. საბჭოთა ხელისუფლებამ ქართველ ხალხს მისცა ეროვნული კულტურის განვითარების შესაძლებლობა, რომლის ერთ-ერთი მხარე ფიზიკური აღზრდის ეროვნული ფორმებია.

1925 წლის 13 ივლისს რკპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო სპეციალური დადგენილება „ფიზიკური კულტურის სფეროში პარტიის ამოცანათა შესახებ“, რომელშიც მოცემული იყო საბჭოთა ფიზკულტურული მუშაობის შემდგომი განვითარების ფართო პროგრამა.

მიუხედავად მთელი რიგი სიძნელეებისა და სირთულეებისა, მწვავე კლასობრივი ბრძოლა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში, 1921-1925 წლებში, სპორტი განუხრელად ვითარდებოდა. ქართველი ხალხის ფიზიკური კულტურა მასობრივი გახდა მხოლოდ საბჭოთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების პირობებში. საქართველოს კომუნისტური პარტია გამუდმებით ზრუნავდა არა მარტო ბავშვებისა და ახალგაზრდობის, არამედ რესპუბლიკის მშრომელთა ფიზიკური აღზრდისთვის, ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს, რაოდენ დიდი როლი შეასრულეს საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ და მისმა ერთგულმა თანაშემწემ კომკავშირმა ბურჟუაზიულ სპორტულ ორგანიზაციებთან ბრძოლაში. ამიტომ, ჩვენი აზრით, „საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევების“ ავტორები სამართლიან საყვედურს იმსახურებენ იმისთვის, რომ თავიანთს ნამუშევრებში მხოლოდ გაკვრით, ერთი-ორი გვერდის ფარგლებში ეხებიან ამ საკითხებს, სჯერდებიან მხოლოდ სპორტული ორგანიზაციების დასახელებას, არ სწვდებიან მათი მოღვაწეობის არსს. მათ დამაჯერებლად ვერ გვიჩვენეს, რაში გამოვლინდა „შევარდენის“ ხელმძღვანელობის მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, სათანადო სიღრმით ვერ გახსნეს ორგანიზაცია „სკაუტის“ კონტრრევოლუციური საქმიანობა, არ მოგვცეს ამ ორგანიზაციათა დიფერენცირება. ავტორებმა არ გვიჩვენეს მოღვაწეობა საქართველოს კომკავშირისა, რომელიც სისტემატურ ბრძოლას ეწეოდა ორგანიზაცია „შევარდენის“ ზოგიერთი ხელმძღვანელისა და უფროსი ასაკის წევრის წინააღმდეგ, ვერ გვიჩვენეს კომკავშირის აღმზრდელობითი მუშაობა ამ ორგანიზაციაში.

ასეთია ჩვენი ზოგიერთი შენიშვნა.

შ. აბაჯანოვი,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სკპ ისტორიისა და მეცნიერული კომუნიზმის კათედრის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

დასასრული. იხ. „ლელო“ №№ 136, 140.

[1] პ. ა. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. ფ. 96. ს. 15, ფ. 2.

[2] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. ფ. 95, ს. 4. ფ. 64.

[3] მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალი. ფ. 14. აღ. 1 ს. 207. ფ. 380.

[4] ს. ორჯონიკიძე. „სტატიები და სიტყვები“. სახპოლიტგამომცემლობა. ტ. 1, 1956 წ. გვ. 280.

[6] ჟურნალი „სპარტაკი“ № 60. 4 ოქტომბერი, 1923 წ. გვ. 6.

[6] ჟურნალი „სპარტაკი“ № 60. 4 ოქტომბერი, 1923 წ. გვ. 6.

[7] გაზეთი „ლელო“. 1974 წ. 16 სექტემბერი.

ზღვის რომანტიკოსები



მარკო პოლოს, ქრისტეფორე კოლუმბის, ვასკო და გამას, ამერიგო ვესპუჩის, ფერნანდო მაგელანის, ვიტუს ბერინგისა და სხვა დიდ მეზღვაურთა ხიფათებით აღსავსე, საინტერესო თავგადასავლების გაცნობის შემდეგ რომელი ბავშვი არ ოცნებობს ასეთსავე ცხოვრებაზე, რომელ ბავშვს არ სურს მათს კვალს გაჰყვეს, მით უმეტეს, თუ მეოცნებე ბიჭი ზღვის პირას იზრდება. დღეს ბავშვები ამ ოცნებათა ხორცშესასხმელად პირველ ნაბიჯებს აფროსანთა კლუბებში დგამენ.

...ზღვის მოლივლივე ტალღებში გედებივით დასრიალებენ ნაირფერი იალქნიანი ნავები, რომელთა თავზე თოლიები დანავარდობენ. დროდადრო იალქნებს შორის კატარღა გააპობს ტალღებს, იქიდან კი მწვრთნელის შეძახილები ისმის. გამოცდილი აღმზრდელები რჩევა-დარიგებას აძლევენ ნორჩ აფროსნებს, რომლებიც ტოლს არავის უდებენ მთელს რესპუბლიკაში. ბოლო ორი წლის მანძილზე მათ საქართველოს ნორჩ აფროსანთა თითქმის ყველა შეჯიბრებაში იყოჩაღეს.

ეს ნორჩები ბათუმის „ვოდნიკის“ ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან.

— პირველი წარმატებები რომ მოვიპოვეთ, საქართველოს საზღვაო სანაოსნო რესპუბლიკის პროფკავშირმა და აჭარის ფიზკულტურის კომიტეტმა ერთიორად გააძლიერეს მზრუნველობა, — გვიამბობს სპორტსკოლის დირექტორი ლ. სალუქვაძე. — წლეულს ბევრი ახალი ნავი შევიძინეთ — „ოპტიმისტი“, „ფინი“, „მფრინავი ჰოლანდიელი“, „კატამარანი“... ამ ბაზიდან მალე ახალ სამსართულიან კლუბში გადავსახლდებით, რომელსაც საქართველოს საზღვაო სანაოსნო (უფროსი ა. კაჭარავა) გვიშენებს. მშენებლები გვპირდებიან, კლუბი წლის ბოლოსთვის ჩადგება მწყობრში. ცხადია, იქ მუშაობისთვის უკეთესი პირობები გვექნება, უკეთ ჩატარდება თეორიული მეცადინეობები, გვექნება სახელოსნო...

...ზღვის ტალღებში გედებივით სრიალებენ ნაირფერიალქნიანი ნავები, მათს თავზე კი თოლიები დანავარდობენ. ისინი დიდი სპორტისკენ ზურგის ქარს უსურვებენ „ოპტიმისტებში“ მსხდომ ნორჩ რომანტიკოსებს. იმედი გვაქვს, ეს ბავშვები მიაღწევენ იმას, რაც ვერ შეძლეს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში საქართველოს აფროსნებმა.

ა. ბურახაშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

• • •



სურათებზე: ვარჯიშის მომენტი; ნორჩები ემზადებიან ზღვაში გასასვლელად.

ავტორის ფოტოები.

მხოლოდ ოთხმა შეასრულა...

ბათუმის „დინამოს“ სტადიონზე ორ დღეს გაგრძელდა ამ საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს მოზარდთა (1957-59 წლებში დაბადებულები) პირველობა მძლეოსნობაში. სარბიელზე მხოლოდ აჭარის, აფხაზეთის და ქუთაისის 36 სპორტსმენი გამოვიდა. ჩათვლაში მეორე თანრიგის შედეგები შედიოდა. ამ მაჩვენებლებს მარტო 4 სპორტსმენი შეწვდა. აქედან სამი მასპინძელთა წარმომადგენელი იყო, ერთი — ქუთაისელი მძლეოსანი.

საერთო გუნდური პირველობა აჭარის მძლეოსნებმა მოიპოვეს — 1761 ქულა. ქუთაისელები 517 ქულით II ადგილზე გავიდნენ.

თბილისისა და რუსთავის სპორტსმენები შეჯიბრებაში არ მონაწილეობდნენ.

ო. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

„ლელო“ წერილების კვალდაკვალ

„თავისუფალი დრო — სპორტულ მოედნებზე!“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 11 მაისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც, სხვადასხვა ნაკლოვანებასთან ერთად, მკითხველებს ზესტაფონის რაიონის სადგურ სვირის ახალგაზრდების გასაჭირიც გავაცანით. ისინი გვწერდნენ: „სპორტული მოედნებისა და დარბაზების უქონლობის გამო თავისუფალი დროის სპორტისთვის გამოყენების საშუალება არა გვაქვს. მართალია, სადგურის სკოლას ფეხბურთის მინდორი და კალათბურთის მოედანი აქვს, მაგრამ ამ ბაზებით სარგებლობის საშუალებას არ გვაძლევენ. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ ფაქტს“.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ფიზაღზრდისა და სპორტის განყოფილების უფროსი რ. აიწურაძე რედაქციას ატყობინებს:

„წერილი შემდგომი რეაგირებისთვის გადავუგზავნეთ ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებას. როგორც ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილების გამგე თ. გუნცაძე გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა.

სოფელ სვირის ახალგაზრდების სამართლიან შენიშვნებზე იმსჯელეს განათლების განყოფილების საბჭოს სხდომაზე. სოფელ სვირის საშუალო სკოლის დირექტორს გ. ჩუბინიძეს მიეცა მითითება, რომ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს სოფლის ახალგაზრდებს ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის გაშლაში. სოფლის ახალგაზრდობა სკოლას კუთვნილი სპორტული მოედნებით ისარგებლებს შეუფერხებლად, სასწავლო საათების დამთავრების შემდეგ“.

ფეხბურთი
'75

სსრ კავშირის პირველობა

მიმდინარეობდა ბოლო წუთი...

ოდესა. ცენტრალური სტადიონი. 20 ივლისი.

„ჩერნომორეცი" (ოდესა) — „დინამო" (თბილისი) 2:1 (0:1).

„ჩერნომორეცი": დეგტიაროვი, ნეჩაევი, ლეშჩუკი, ლოგვინენკო, სოპელნიკი, საპოჟნიკოვი (გრიგორიევი), უსტიმჩიკი, პლოსკინა, მიხაილოვი, ალდიზადე, პოლიშჩუკი (რიბაკი).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ჩელიძე, ებრალიძე, ხიზანიშვილი, გავაშელი, ასათიანი, მ. მაჩაიძე, რეხვიაშვილი, ყიფიანი (ქორიძე), წერეთელი (გ. მაჩაიძე).

მსაჯი კ. ანძიულისი (კაუნასი).

დუბლიორები — 0:3.

ოდესისა და თბილისის ფეხბურთელთა კალენდარული მატჩის წინა დღეს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებული, უკვე ტრადიციად ქცეული მეგობრული შეხვედრა. ორივე გუნდის მოთამაშეები და ხელმძღვანელები მიიწვიეს ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე დიდ კინოთეატრში, სადაც ფეხბურთის მოყვარულთა ფართო აუდიტორიის წინაშე გაიმართა საუბარი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. შემდეგ უჩვენეს ახალი მხატვრული ფილმი საფეხბურთო თემაზე — „11 იმედი".

თვით მატჩი, დიდი სიცხის მიუხედავად, მიმდინარეობდა საინტერესოდ, მაღალი ტემპით, კრიტიკული მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე კართან. მასპინძლებმა თავიდანვე სცადეს უპირატესობის მოპოვება, პირველივე წუთებზე შეუტიეს მეტოქეს, მაგრამ მე-7 წუთზე დინამოელებმა სწრაფი კონტრიერიში განავითარეს, ასათიანმა კარგად მიაწოდა ბურთი კარის წინ ყიფიანს და ჩემპიონატის ერთ-ერთმა საუკეთესო ბომბარდირმა ზუსტი დარტყმით დაამთავრა კომბინაცია — 1:0.

ამ მარცხის მიუხედავად, „ჩერნომორეცი" განაგრძობდა აქტიურ, შემტევ თამაშს, დიდი დატვირთვა დააწვა დინამოელთა დაცვას და, განსაკუთრებით მეკარე გოგიას. მე-20 წუთზე მან შეძლო უსტიმჩიკის მიერ დარტყმული ძალიან ძნელი ბურთის აღება, შემდეგ მოიგერია პლოსკინას დარტყმა, როცა იგი პოლიშჩუკისგან მიღებული გადაცემის შემდეგ კარის წინ აღმოჩნდა.

ანგარიშში ცვლილება პირველი ტაიმის დასასრულამდე არ მომხდარა, თუმცა, საამისო შესაძლებლობა საკმაო იყო. მაგალითად, მე-40 წუთზე ყიფიანის დარტყმის მერე მასპინძლები აშკარად გადაურჩნენ მეორე გოლს.

შესვენების შემდეგ „ჩერნომორეცმა" კიდევ უფრო გააძლიერა შეტევა, 51-ე წუთზე ახალგაზრდა ფეხბურთელმა პლოსკინამ, რომელიც განსაკუთრებით გამოირჩეოდა აგრესიული, სახიფათო თამაშით, ისარგებლა მოპირდაპირე კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტით და ანგარიში გაათანაბრა.

მომდევნო პერიოდში, დაახლოებით 10-15 წუთის მანძილზე, ოდესელებს საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ. ისინი ბევრს მოძრაობდნენ, ხშირად ცვლიდნენ შეტევის მიმართულებას, ზედიზედ აწვდიდნენ კუთხურს, მეკარე გოგია კვლავ და კვლავ ერთვოდა თამაშში, ზედიზედ იღებდა ძნელ ბურთებს. მატჩის დასასრულისთვის ორივე გუნდი დაიღალა, ტემპმა მოიკლო, ცალკეულ ფეხბურთელთა შეცდომებმა იმატა და უკვე მაშინ, როცა დაიწყო შეხვედრის ბოლო წუთი, „ჩერნომორეცმა" ბოლო იერიში განახორციელა. მან გუნდს წარმატება მოუტანა: მიხაილოვის დარტყმის შემდეგ ბურთი სტუმრების ბადეში აღმოჩნდა.

ი. რომანოვსკი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

უმაღლესი ლიგა

20 ივლისს გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის მატჩები.

„დინამო" (კიევი) — „არარატი" 4:0. გათამაშების ლიდერების შეხვედრა საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო. კიევის ცენტრალური სტადიონის ტრიბუნები 100 ათასმა მაყურებელმა გაავსო. კიეველებმა საუკეთესოდ ითამაშეს და მეტოქეს მატჩის ხსნის არავითარი შანსი არ დაუტოვეს. ანგარიში მე-2 წუთზე გახსნა ონიშჩენკომ, შემდეგ, მე-15 და 44-ე წუთებზე, ბლოხინმა ორჯერ აიღო ერევნელთა კარი, ხოლო შესვენების მერე მან „ჰეთ თრიკი" შეასრულა და მისივე წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანი დარტყმა ზუსტად გამოიყენა.

„დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი" 2:1. ძველ მეტოქეთა ამ პრინციპულ მატჩში დაწინაურდნენ დინამოელები (დოლმატოვი). ეს ბურთი შემდგომში გაქვითა ლოვჩევმა, მაგრამ „დინამომ" მაინც იმარჯვა და ბასალაევის მიერ გატანილი გოლით ძალიან საჭირო გამარჯვებას მიაღწია.

„ფახთაქორი" — „კარპატი" 1:1.

„ზენიტი" — „ლოკომოტივი" 0:1.

ასკ — „დნეპრი" 1:2.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო" კ.	15	10	3	2	31—13	23
„დნეპრი"	16	7	5	4	24—19	19
„დინამო" მ.	16	6	6	4	15—12	18
„არარატი"	16	8	2	6	19—19	18
„შახტიორი"	15	7	3	5	26—18	17
„კარპატი"	16	5	7	4	21—18	17
„ზარია"	15	6	5	4	20—17	17
„დინამო" თბ.	16	7	3	6	20—18	17
„ჩერნომ."	16	6	5	5	16—18	17
„სპარტაკი"	16	5	6	5	14—14	16
„ლოკომოტ."	17	4	7	6	14—17	15
ცსკა	15	4	6	5	14—16	14
„ფახთაქორი"	16	5	4	7	17—22	14
„ტორპედო"	15	4	5	6	20—20	13
„ზენიტი"	16	4	3	9	14—27	11
ასკ	16	2	2	12	12—29	6



19 ივლისს გაიმართა პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრები.

ფრე — ზაპოროჟიეს „მეტალურგთან"

ქუთაისის ტორპედოელები ზაპოროჟიეში შეხვდნენ ადგილობრივ „მეტალურგს". მატჩი ფრედ დამთავრდა — 0:0.



ასე დამთავრდა: „ნეფთჩი" (ბაქო) — „ქაირათი" (ალმა-ათა) 2:1, „დინამო" (მინსკი) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 1:0, „შინიკი" (იაროსლავლი) — „სპარტაკი" (ნალჩიკი) 2:0, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 2:1, „ზვეზდა" (პერმი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 2:0, „რუბინი" (ყაზანი) — „ტავრია" (სიმფეროპოლი) 2:1, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ივანო-ფრანკოვსკი) 2:0, „კუზბასი" (კემეროვო) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 3:2.

• •

გათამაშების ცხრილი

პირველი წრის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო"	19	10	6	3	25—10	26
„კრ. სოვეტ."	19	10	4	5	34—20	24
„ტორპედო"	19	8	8	3	24—13	24
„ქაირათი"	19	10	3	6	32—18	23
„ტავრია"	19	9	5	5	30—20	23
„ნეფთჩი"	19	10	3	6	25—17	23
„შინიკი"	19	7	8	4	24—19	22
„ნისტრუ"	19	9	4	6	21—23	22
„სპარტ." ორ.	19	8	5	6	20—15	21
„სპარ." ი.-ფ.	19	7	6	6	25—20	20
„მეტალურგი"	19	6	7	6	20—16	19
„მეტალისტი"	19	6	6	7	16—18	18
„პამირი"	19	5	7	7	22—22	17
„ზვეზდა"	19	7	3	9	15—20	17
„კუზბასი"	19	6	5	8	20—26	17
„რუბინი"	19	5	7	7	17—29	17
„ყუბანი"	19	4	7	8	16—23	15
„სპარტ." ნ.	19	3	7	9	12—27	13
„ურალმაში"	19	5	2	12	17—31	12
„ალგა"	19	2	3	14	11—39	7

სსრ კავშირის ჩემპიონატი

მოსკოვის „ლოკომოტივი" უფრო ძლიერი გამოდგა

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 20 ივლისი.

„ლოკომოტივი" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 6:10 (0:0).

თბილისი: ფეტვიაშვილი (შ. ხარშილაძე), მოდებაძე, ქელბაქიანი (მამისაშვილი), ჭვარიძე, პეტუხოვი, დოლიძე, რუხაძე, ბუგიანიშვილი, ზ. ხარშილაძე, კილასონია, გეგეშიძე, ავლასტიმოვი (იმნაიშვილი), ფურცელაძე, ჯაფარიძე, გიორგაძე.

მოსკოვი: სვირიდოვი, ეტკო, კორნეევი, მატვეევი (ტამარინი), ოშეტკოვი, ჟურავლიოვი, ს. სავინი, იაკიმოვიჩი, რახმანოვი, ანტონიუკი, ნ. სავინი (გორდიენკოვი), ვასილიევი, ტოროპოვი, ივანოვი, მუხამეჯიანოვი.

მსაჯი ვ. ტროხიმენკო (კიევი).

ეს იყო უმაღლეს დონეზე ამ გუნდების მესამე შეხვედრა. შარშან საკავშირო პირველობაზე ერთი მატჩი თბილისელებმა მოიგეს, მეორე — მოსკოველებმა. მოსალოდნელი იყო, რომ მასპინძლები, რომლებიც გამარჯვების შემთხვევაში ლიდერთა შორის ხვდებოდნენ, შინ მორიგ 2 ქულას მოიპოვებდნენ და თანაკლუბელებთან შეხვედრების ბალანსსაც თავიანთს სასარგებლოდ გაზრდიდნენ.

გულშემატკივრებს თბილისელების წარმატებაში ეჭვიც არ ეპარებოდათ, ვინაიდან მათი კოლექტივი ერთადერთია, რომელმაც ბოლო საკავშირო ჩემპიონატის სამივე პრიზიორის დამარცხება შეძლო.

სამწუხაროდ, ამჯერად თბილისელებს ვეღარ ვიცნობდით. მათ მატჩი თავიდანვე დუნედ დაიწყეს, ცოტას და ნელა იცვლიდნენ ადგილებს. ამას მარტო დიდ სიცხეს ვერ დავაბრალებთ, ვინაიდან მოსკოველები გაცილებით სწრაფად დარბოდნენ და ყოველი ბურთისთვის თავგამოდებით იბრძოდნენ.

თავდაპირველად იგრძნობოდა, რომ სტუმრები სარბიელზე მაინცდამაინც დიდი გეგმებით არ გამოსულან. მათ კარგად იცოდნენ, რომ წლეულს თბილისის „ლოკომოტივი" ანგარიშგასაწევი ძალაა და ამიტომ თავიდანვე პოზიციური ბრძოლა ირჩიეს — ცდილობდნენ ბურთი თავიანთი ჩათვლის მოედნიდან რაც შეიძლება შორს გაეჩერებინათ, მაგრამ შემდეგ, როცა დარწმუნდნენ, რომ მასპინძლები თამაშისთვის, არ იყვნენ განწყობილი, ტაქტიკა მთლიანად შეცვალეს და ბურთმაც თბილისელთა ნახევარზე დაიდო ბინა.

მოსკოველებმა განსაკუთრებით აქტიურად დაიწყეს მარაოს გაშლა. ამ გზით ბურთი ხან ერთ, ხან მეორე მხარეს გადაჰქონდათ და თანდათან მეთოდურად უახლოვდებოდნენ სასურველ ზღუდეს. ორჯერ ისინი თბილისელთა ჩათვლის მოედნისკენ სახიფათოდაც გაიჭრნენ, მაგრამ მასპინძლებმა ორივეჯერ ბოლო მომენტში შეძლეს ამ რეიდების ჩაშლა. შუა ტაიმში კი გიორგაძემ მეტოქის შეტევა თბილისელთა ჩათვლის მოედანზე შეაჩერა, ბურთს იგი მასპინძლებისთვის მეტად სახიფათო ზონაში დაეუფლა და რისკის ფასად იერიში თვითონ წამოიწყო.

თბილისელებმა პირველად 28-ე წუთზე სცადეს მიზნისთვის მიეღწიათ — კილასონიამ დააპირა არეკნით დარტყმული ბურთი მეტოქის კარის ძელებს შორის გაეტარებინა, მაგრამ ამაოდ.

შესვენებაზე ორივე გუნდის მწვრთნელებმა სპორტსმენებს საგანგებო დავალებანი მისცეს. მაგალითად, თბილისელთა მწვრთნელმა ნ. ყიფიანმა ბიჭებს (განსაკუთრებით კილასონიას) მიუთითა, რაც შეიძლება ხშირად ეცადათ ბურთის მეტოქის სიღრმეში დაკიდება და მისი ხელახლა დაუფლებისთვის ებრძოლათ.

მატჩის განახლებისთანავე ნათელი გახდა, რომ მწვრთნელის მითითებას მოსკოველები უკეთ ასრულებდნენ, თბილისელთა თამაშს კი გაუმჯობესება არ დასტყობია. პირიქით, დაცვაში გაჩნდა ბზარები, რომლებიც თანდათან ისე გაფართოვდა, რომ მე-60 წუთზე ივანოვმა ბურთიანად მოედანზე შეჭრა მოახერხა. გორდიენკოვს რეალიზაციის გამოყენება არ გასჭირვებია და ანგარიში 6:0 გახდა.

მალე თბილისელებს ანალოგიური შეცდომა მოუვიდათ: უხეიროდ მოიგერიეს ბურთი, რომელიც მათსავე ჩათვლის მოედანზე დაეშვა. აქ ბურთთან პირველი გორდიენკოვი მიიჭრა და თავისი გუნდი კიდევ უფრო დააწინაურა.

მასპინძლები მხოლოდ ამის შემდეგ გამოფხიზლდნენ და მალე მდგომარეობის ბატონ-პატრონები გახდნენ, მაგრამ მატჩის გადასარჩენად დარჩენილი დრო მეტად მცირე იყო. თბილისელებმა მხოლოდ ანგარიშში სხვაობის შემცირება შეძლეს, როცა ჯაფარიძემ ბურთი მოსკოველთა ჩათვლის მოედანზე დადო, გიორგაძემ კი რეალიზაცია გამოიყენა.

ო. გელაშვილი.

• •

დაძაბულ ბრძოლაში

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" გუნდი „ივერია" კვირას მოსკოვში უმაღლესი ლიგის დებიუტანტს — ადგილობრივ „სლავას" შეხვდა. მატჩი უაღრესად დაძაბული გამოდგა. „სლავა" საპრიზო ადგილისთვის იბრძვის და ამიტომ უპირატესობის მოპოვებისთვის ძალღონის დაუზოგავად თამაშობდა.

მატჩი, რომელიც გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, მოსკოველთა გამარჯვებით დამთავრდა — 11:9.

ასე დამთავრდა: „ავტომობილისტი" (მოსკოვი) — „სპარტაკი" (კიევი) 25:17, სამხედრო-საჰაერო აკადემია (მოსკოვის ოლქი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 19:3, „ფილი" (მოსკოვი) — საავიაციო ინსტიტუტი (მოსკოვი) 29:6.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 22 ივლისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ფილი"	8	7	0	1	183:59	14
სამხ.-საჰ. აკად.	8	6	0	2	118:68	12
„სლავა"	8	6	0	2	103:67	12
„ლოკომ." (მ.)	8	5	1	2	76:63	11
„ლოკომ." (თბ)	8	4	0	4	72:67	8
„ივერია"	8	4	0	4	59:73	8
„ავტომობილ."	8	3	1	4	68:103	7
„სპარტაკი"	8	3	0	5	121:106	6
„ბურევესტნიკი"	8	1	0	7	36:104	2
საავიაც. ინსტ.	8	0	0	8	59:185	0

საუცხოოდ დაიწყეს

კალი, 20 ივლისი. კოლუმბიის ამ ქალაქში დიდ ინტერესს იწვევს მსოფლიო ჩემპიონატი საწყლოსნო სპორტის სახეობებში.

პირველად ბრძოლაში ჩაებნენ წყალში მხტომელები და შესარჩევი თამაშების მონაწილე წყალბურთელები.

ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს წყალში ხტომის საბჭოთა ოსტატმა ქალებმა. უაღრესად მწვავე და საინტერესო ფინალური ბრძოლის შემდეგ 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ყველას აჯობა პენზელმა ი. კალინინამ (489,81 ქულა), ხოლო II ადგილი დაიკავა ლვოველმა ტ. ვოლინკინამ (473,37).

სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების წყალბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 4:4.

სურათზე: ი. კალინინა ასპარეზობისას.

ა. გურასაშვილის ფოტო.

გათამაშებას გამოეთიშა

იურმალა, 20 ივლისი. ლატვიის ამ საკურორტო ქალაქის კორტებზე დღეს დამთავრდა დევისის თასის გათამაშების ევროპის „ა" ზონის ნახევარფინალური მატჩი სსრ კავშირისა და შვეციის ჩოგბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის.

როგორც ცნობილია, შეხვედრა მასპინძელთათვის ერთობ უხეიროდ დაიწყო: პირველი დღის შემდეგ სტუმრები დაწინაურდნენ ანგარიშით 2:0. მეორე დღეს თ. კაკულია გამოჯანმრთელდა და წყვილთა შეხვედრაში მეტრეველის მხარდამხარ დადგა. საბჭოთა დუეტმა საკმაოდ იოლად სძლია ბ. ბორგსა და უ. ბენგსტონს — 6:1, 6:4, 8:6.

დღეს მეტრეველმა თავისი გამარჯვებით ანგარიში გაათანაბრა, მაგრამ გადამწყვეტ შეხვედრაში ბორგის წინააღმდეგ კაკულიამ გამოსვლა ვერ შეძლო და იგი ა. ვოლკოვმა შეცვალა. შვედს მეტოქემ მხოლოდ პირველ პარტიაში გაუწია წინააღმდეგობა. გაიმარჯვა ბორგმა — 8:6, 6:1, 6:0.

ამრიგად, შეხვედრის საერთო ანგარიშია 3:2 შვედი ჩოგბურთელების სასარგებლოდ. საბჭოთა გუნდი გათამაშებას გამოეთიშა, შვედები კი „ა" ზონის ფინალში გავიდნენ.

მასპინძლებმა იმარჯვეს

ბათუმის „დინამოს" სტადიონზე ჩატარდა საქართველოს მოხალისე მეხანძრეთა პირად-გუნდური ჩემპიონატი სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. პირველობისთვის იბრძოდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, მახარაძის, ზუგდიდის, რუსთავის, თელავის, ზესტაფონის, ფოთისა და ახალციხის წარმომადგენლები.

სხვადასხვა სახეობაში გაიმარჯვეს აჭარის გუნდის წევრებმა რ. მნაცაკანიანმა, რ. უზუნოვმა, ბ. თუთამეილმა, თბილისელმა პ. ჯავაევმა, რუსთაველმა ა. ოგანეზოვმა. აჭარის ნაკრებმა მოიგო ესტაფეტა 5×80 მეტრზე, ხოლო მახარაძის გუნდმა თავი ისახელა საბრძოლო გაშლაში.

საერთო გუნდურ ჩათვლაში მასპინძლებმა იმარჯვეს — მათ 13 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ II ადგილზე არიან ფოთელი მეხანძრეები — 32, მესამეა თბილისის ნაკრები — 33.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც ტალინში საკავშირო პირადგუნდურ პირველობაში იასპარეზებს.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VI СПАРТАКИАДА НАРОДОВ СССР 1975

ყველა მატჩი მოიგეს

რიგა, 21 ივლისი. ჯგუფებში ბოლო ტურის წინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად, რამაც ასეთი შედეგები მოგვცა: უკრაინელებთან მატჩში საქართველოს მოჭადრაკეებს ორი პარტია ჰქონდათ გადადებული: ჯინჯიხაშვილმა მოუგო სავონს, ხოლო ჩიქოვანმა წააგო ალბურტთან. ამრიგად, საქართველო — უკრაინის მატჩის საბოლოო შედეგია 5:4. ტაჯიკეთის მოჭადრაკეებთან მატჩში გურგენიძეს გადადებული ჰქონდა შეხვედრა სლუცკისთან. გურგენიძემ მოიგო, მაგრამ უბილავა დამარცხდა ლევიკთან და მატჩის საბოლოო ანგარიში გახდა 8:1.

ჯგუფში ბოლო მატჩი საქართველოს მოჭადრაკეებს ესტონეთის წარმომადგენლებთან ჰქონდათ. გუფელდმა მოუგო კიარნერს, უბილავამ — ჰერცლინს, ალექსანდრიამ — სამულს. ჯინჯიხაშვილმა წააგო რიტოვთან გურგენიძე — ნეის, იზვოზჩიკოვ — ეტრუკის, ჩიქოვან — ვოორემაას, ზაიჩიკ — ჰეუერისა და გაფრინდაშვილ — რანიკუს შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. ამრიგად, საქართველოს მოჭადრაკეებმა დაამარცხეს ესტონეთის წარმომადგენლები ანგარიშით 5,5:3,5.

ამ ჯგუფში უკრაინელებმა საბოლოოდ 32,5 ქულა დააგროვეს, ხოლო საქართველოს წარმომადგენლებმა — 31,5. ფინალში საქართველოს გუნდი ხუთი ქულით შევიდა, უკრაინელებისა კი — ოთხით.

პირველ ჯგუფში გაიმარჯვეს ლატვიელებმა. II ადგილზე არიან მოსკოველები. შესაბამისად გუნდები ფინალში გავიდნენ 5 და 4 ქულით.

მეორე ჯგუფიდან ფინალში მონაწილეობის უფლება მიიღეს რსფსრ-ს და ლენინგრადის მოჭადრაკეებმა, რომლებიც ფინალში ერთნაირი ქულებით (4,5-4,5) შევიდნენ.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადის მონაწილე 17 გუნდიდან საქართველოს მოჭადრაკეთა ნაკრები ერთადერთია, რომელმაც ყველა მატჩი მოიგო.

ნახევარფინალურ ტურნირებში სპარტაკიადის ყველა მონაწილეს შორის აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აქვთ ალექსანდრიასა და რსფსრ-ს წარმომადგენელს ა. კისლოვას — 5 ქულა 5-დან! ალექსანდრიას გარდა, საქართველოს ნაკრებში მაღალი მაჩვენებლები აქვთ, აგრეთვე, გაფრინდაშვილს — 4 ქულა 5-დან, გურგენიძესა და გუფელდს — 3,5-3,5 5-დან, გიორგაძესა და ზაიჩიკს — 3-3 4-დან.

ხვალ იწყება სასპარტაკიადო ტურნირის ფინალური ნაწილი.

როცა ძრავები ჩაქრა...

კიშინიოვი, 21 ივლისი. (საკდესი). სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის პროგრამით მოტოკროსში გაიმარჯვეს რსფსრ-ს გუნდის მრბოლელებმა. ეს ცნობილი გახდა კიშინიოვის მახლობელ ტრასაზე ორდღიანი ასპარეზობის შემდეგ, რომელშიც სპორტსმენები სხვადასხვა კლასის მანქანებით ჩაებნენ.

სპეციალისტებსა და სახელოვან მეტოქეებს სიურპრიზი შესთავაზა 350-მდე კბ სმ მოცულობისძრავიანი მოტოციკლით მოასპარეზე მოლდავეთის გუნდის წევრმა ს. ნაბიულინმა, რომელმაც დაღმართებისა და მოსახვევების დაძლევის ბრწყინვალე ტექნიკა გვიჩვენა. მან ჩამოიტოვა შარშანდელი ჩემპიონები გ. არბეკოვი და ვ. ხუდიაკოვი. მართალია, ლენინგრადელმა ხუდიაკოვმა მაინც მოიპოვა ოქროს ჯილდო — პირველი იყო ყველაზე მძლავრი მოტოციკლების — 500-მდე კბ სმ კლასში.

ყველაზე მსუბუქი — 175-მდე კბ სმ მოცულობისძრავიანი მანქანებით, ისევე როგორც შარშანდელ საკავშირო პირველობაში, უძლიერესი იყო ლენინგრადელი პ. რულიოვი. მოსკოველმა ბ. ოჭინიკოვმა ყველას აჯობა „250-ანების“ კლასში.

ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობებში, გამარჯვებულებს ჯილდოების ორი კომპლექტი ეძლეოდათ — სპარტაკიადისა და ქვეყნის ჩემპიონატისა.

გუნდურ ჩათვლაში II ადგილი დაიკავა მოსკოვის ნაკრებმა, III — ლენინგრადელთა კოლექტივმა.

თასი და სპარტაკიადის ოქროს მედალი

დასასრული

მაღალი შეფასება მისცეს იაპონიის წარმომადგენლებმაც კი, რომელთა ტანმოვარჯიშენიც საბჭოთა ვაჟთა გუნდის მთავარი მეტოქეები არიან. საბჭოთა სპეციალისტთა ვიზიტის პასუხად ლენინგრადში ჩამოვიდნენ იაპონიის ტანვარჯიშის ფედერაციის თანამშრომლები.

— ლენინგრადში ჩვენ ბევრი რამ ვნახეთ საინტერესო, ახალი, — თქვა ს. იოსიდამ. — განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ანდრიანოვის, კორბუტის, კიმის, დიტიატინის, ტურიშჩევას, კლიმენკოს, საადის მაღალმა კლასმა. მოგვეწონა გორბიკი, იაკუნინი, კულაკსიზოვი და ბევრი სხვა. დიდად მადლობელი ვართ მოსკოვსა და ლენინგრადში ესოდენ გულთბილი მიღებისთვის.

ვერცხლის პრიზიორ კლიმენკოს 110,576 ქულა აქვს. ბრინჯაოს ჯილდო დაიმსახურა დნეპროპეტროვსკის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა ფ. კულაკსიზოვმა — 110,275. მასაც აგვისტოში უსრულდება 18 წელი. კულაკსიზოვი მხოლოდ სპორტის ოსტატობის კანდიდატია.

ექვსეულში, აგრეთვე შევიდნენ ვ. მარჩენკო (რსფსრ) — 109,725, ვ. შჩუკინი (ბელორუსია) — 109,275, გ. იაკუნინი (უზბეკეთი) — 103,2. მაშ ასე, მარჩენკო და შჩუკინი ტრავმების შემდეგ კვლავ იბრუნებენ საბრძოლო ფორმას.

ოლიმპიური ჩემპიონი და ევროპის აბსოლუტური ჩემპიონი ნ. ანდრიანოვი „სკოლაში“ წარუმატებლობის გამო პირადი შეჯიბრების ფინალში ვერ მოხვდა. (საკდესის სპეც. კორ.).

ახალი ამბები-75

● **მონრეალი, 20 ივლისი.** მშვილდოსან ქალთა აქ გამართულ წინაოლიმპიურ შეჯიბრებაში ყველას აჯობა ი. ლორენსონმა (აშშ) — 2407 ქულა. II ადგილზე გავიდა მსოფლიო ჩემპიონი, დუშანბელი ზ. რუსტამოვა (2306), ხოლო III — ლვოველი ვ. კოვპანი (2286).

● *ათენი, 20 ივლისი.* აქ გაიხსნა კალათბურთელ ვაჟთა გუნდების საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება. მასპინძელმა — საბერძნეთის ნაკრებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ წააგო მატჩი მექსიკის ეროვნულ გუნდთან — 62:64. ამ ტურნირში მონაწილეობს სსრ კავშირის ნაკრებიც, რომელიც 26 ივლისს ლენინგრადში შეხვდება მექსიკელებს, 29-ში — კანადელებს, 31-ში — ბრაზილიელებს და 2 აგვისტოს — ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს. შემდეგ საბჭოთა კალათბურთელები ოკეანის გაღმა გაემგზავრებიან და საპასუხო მატჩებს ჩაატარებენ.

„ფიზიკოსები“ თუ „ლირიკოსები“?

„რატომ მოიგო კომანეჩიმ, რატომ წააგო ტურიშჩევამ?“ — ასეთი შეკითხვებით შეხვდნენ მოსკოვის შერემეტიევოს აეროპორტში ნორვეგიიდან, სპორტულ ტანვარჯიშში ევროპის ჩემპიონატიდან დაბრუნებულ საბჭოთა დელეგაციას. მართლაც, რა მოხდა?

— ჩვენ ცოტა ვიჩქარეთ ტურიშჩევას დიდ ფიცარნაგზე გამოყვანა, — თქვა ცნობილი საბჭოთა ტანმოვარჯიშის მწვრთნელმა ვ. რასტოროცკიმ. — მას ზურგის სერიოზული ტრავმა ჰქონდა და სამ თვეს არ გაჰკარებია იარაღებს, მხოლოდ მარტში დაიწყო წვრთნა. ამიტომ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ლიუდმილამ ევროპის პირველობამდე ვერც ერთ შეჯიბრებაში მონაწილეობა ვერ მოასწრო.

და მაინც. 13 წლის ნადია კომანეჩი საოცარი მოვლენაა სპორტში. მისი პროგრამა მსოფლიოს ტანმოვარჯიშეების, პირველ ყოვლისა საბჭოთა სპორტსმენების საუკეთესო ვარჯიშებისა და ელემენტების სინთეზია. იგი მთელ ძალას ვარჯიშის სირთულის ზრდას ახმარს. ამასთან, ნადია ძალიან სტაბილურია. შიენში კომანეჩიმ ყველა იარაღი უშეცდომოდ გაიარა, ხოლო მათგან ყველაზე „ვერაგზე“ — დვირზე — ვარჯიშის დასასრულს „ბორბალივით“ გაიარა ვიწრო, 10 სმ სიგანის ზოლზე.

13 წლის ტანმორჩილი (სიმაღლით 152 სანტიმეტრია), გამხდარი, (38 კგ-ს იწონის), თაფლისფერთვალება გოგონა, რომელიც რუმინეთის სოფელ ონეშტში ცხოვრობდა, ექვსი წლისა იყო, როცა პირველად შედგა ფეხი სპორტულ დარბაზში. რვა წლისა უკვე თამამად აკეთებდა რთულ ელემენტებს, რაც ზოგჯერ უფროსებისთვისაც კი ძნელი დასაძლევი იყო. შემდეგ მან გაიმარჯვა ქვეყნის იუნიორთა ჩემპიონატში. ორი წლის წინათ სოციალისტური ქვეყნების ტანმოვარჯიშეთა ტურნირში „მეგობრობა“ მან პირველობა მოიპოვა და 0,2 ქულით ჩამოიტოვა საბჭოთა სპორტსმენი ნელი კიმი. შიენში ოქროს მედალოსანს და მეორე პრიზიორს (ამ ადგილებს ისევე კომანეჩი და კიმი ინაწილებდნენ) ერთმანეთისგან 0,25 ქულა აშორებდათ. ეს მაშინ, როცა ნორვეგიაში გამართული შეჯიბრება კომანეჩისთვის სულ მეორე თუ მესამე გამოსვლა იყო უფროსთა შორის!

ნადია მწვრთნელების, ცოლ-ქმარ კორალების მოწაფეა, რომლებიც ქალაქ გეორგე-გეორგიუდეჟის ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სკოლაში მუშაობენ. მთავარი ხელმძღვანელია ბელა. მას ძალიან ეხმარება კინოკამერა. ბელას გადაღებული აქვს მსოფლიოს ტანმოვარჯიშეთა საუკეთესო ელემენტები. გარდა ამისა, მასთან ნადიას არ ეშინია რისკის გაწევისა: თუნდაც ჩამოვარდეს ორძელიდან ან დვირიდან, იცის, რომ საიმედოდ იცავს ფოლადისკუნთებიანი მწვრთნელი.

საინტერესოა, რომ ურთულეს სიტუაციაში ნადია მუდამ იღიმება, ზოგჯერ კეკლუცობს კიდეც. შემთხვევითი როდია, რომ მას თითქმის ერთ წელიწადს ასწავლიდნენ არტისტიზმს, ღიმილს, მოძრაობის პლასტიკას.

მიუხედავად ამისა, ერთი წლის წინათ სპეციალისტებისთვის რომ გეთქვათ, კომანეჩი ევროპაში უძლიერესის სახელზე აცხადებს პრეტენზიასო, ისინი პასუხად მხოლოდ გაიცინებდნენ. მაგრამ აი, თურმე რა შესძლებია ახალგაზრდობას და შრომისმოყვარეობას (ბოლო წელიწადს ნადია ყოველდღიურად სამ საათს მეცადინეობდა), შიენში ნადიამ ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი მოიპოვა, გარდა ამისა, ხალიჩაზე „ვატერლოოს“ მელოდიის თანხლებით შესრულებული შესანიშნავი „ცეკვისთვის“ ვერცხლის მედალი დაიმსახურა. კომანეჩის ხვდა მცირე ოქროს მედლები ორძელზე, დვირზე და ბჯენით ხტომაშიც.

მაგრამ ბავშვი მაინც ბავშვია. კაროლები ამბობენ, რომ ნადია ახლაც ხშირად იძინებს თავის საყვარელ თოჯინასთან ერთად. თვითონ გოგონა ბავშვური უშუალობით ამტკიცებს, რომ მის მწვრთნელზე უკეთესი კაცი დედამიწის ზურგზე არ არის. თუმცა, თვითონ ბელას მიაჩნია, რომ მის მოწაფეს ამ მხრივ მაინცდამაინც დიდად ვერ გაუღიმა ბედმა. ჩვენი ერთობლივი მუშაობის საფუძველი მკაცრი დისციპლინაა, ამბობს იგი.

ჰქონდა თუ არა ნადიას გამარჯვების იმედი? როგორც თვითონ ამბობს, მას სურდა კარგად გამოსულიყო და გრძნობდა, რომ შეეძლო კიდეც ეს. მაგრამ ასეთ წარმატებაზე ნადია ვერც იოცნებებდა. შემდეგ, დასკვნით პრეს-კონფერენციაზე ნადიამ თქვა: სავსებით ვეთანხმები ჩემს მწვრთნელს იმაში, რომ ტურიშჩევას დღევანდელი სპორტული ფორმა ძალიან შორს დგას საუკეთესოსგან და, ამას გარდა, არავინ იცის, რა სიურპრიზს გვიმზადებს კორბუტიო. შემდეგ მან დასძინა: ტურიშჩევა ჩემთვის დღესაც იდეალიაო.

— მსოფლიოს სპორტული ტანვარჯიშის ვარსკვლავთა ჯგუფს მიემატა კიდევ ერთი — ნადია კომანეჩი, ძალიან ნიჭიერი გოგონა, — თქვა სსრ კავშირის ქალთა ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ლარისა ლატინინამ, — ტანვარჯიში, პირველ ყოვლისა ქალთა ტანვარჯიში, ნორჩთა სპორტად იქცა. ოფიციალურ შეჯიბრებებში, მსოფლიოს უძლიერესებთან ჭიდილში მონაწილეობის უფლება ტანმოვარჯიშეებს 14 წლამდე არ ეძლევათ (კომანეჩის 14 წელი მხოლოდ ნოემბერში შეუსრულდება), სექციაში კი დღეს მოდიან რვა, ზოგჯერ ექვსი წლის ბავშვებიც. მათ საკმარისზე მეტი დრო აქვთ დიდი ბრძოლებისთვის მოსამზადებლად. ჰოდა, გამოდის, რომ ყოველთვის, ყოველ დიდ ტურნირში, სიურპრიზებს უნდა ველოდეთ, — ხაზგასმით აღნიშნა ლატინინამ.

— ადვილი შესაძლებელია, რომ მონრეალის ოლიმპიურ ფიცარნაგზე ახალი ტალანტი იშვას. ახლა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში არიან ნიჭიერი გოგონები, განსაკუთრებით კი ჩვენში — მინსკში, ლენინგრადში, მოსკოვში, დონის როსტოვში, ვორონეჟში... ტანვარჯიშულ წრეებში დიდი ხანია კამათობენ: ვინ გაიმარჯვებს, „ფიზიკოსები“ თუ „ლირიკოსები“, — განაგრძო ლატინინამ, სხვათა შორის, მსოფლიოში ერთადერთმა სპორტსმენმა, რომელსაც მოპოვებული აქვს 17 ოლიმპიური ჯილდო — 9 ოქროს, 6 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი. — ახლა „ფიზიკოსები“, რომლებიც ურთულეს ელემენტებს სწავლობენ, მრავლად არიან. სამაგიეროდ, მრავალმხრივი, ჰარმონიული პროგრამით მოასპარეზე სპორტსმენები, რომელთა ვარჯიშებიც მომხიბლავი იქნება როგორც სირთულით, ისე არტისტიზმით, ნაკლებად ჩანან სარბიელზე. ჩემი აზრით, სწორედ „ფიზიკოსებისა“ და „ლირიკოსების“ ოსტატობის შერწყმაში უნდა ვეძიოთ ტანვარჯიშის მომავალი.

ვ. პიეენოვი.

შიენი — მოსკოვი.

საკდესი [illegible]



ლაღად — ბუნების წიაღში

საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის რესპუბლიკური კომიტეტის ფოლადაურის (ბოლნისის რაიონი) პიონერთა ბანაკ „გვირილაში“ ფიზკულტურა და სპორტი დიდად პოპულარულია.

სურათებზე თქვენ ხედავთ ნორჩ ტურისტებს ლაშქრობის დროს და ცხარე ბრძოლას ფრენბურთის ბადესთან.

ა. კაკაბაძის ფოტოები.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ჩვენი მისამართი ტელეფონები

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 93-97-51, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: მასობრივ-ფიზკულტურული — 93-97-55, სპორტული — 99-56-47 93-87-53, ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-57, ჭადრაკის — 93-97-51, წერილების — 93-97-54; მემანქანეთა ბიურო — 93-97-59; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; გამომშვები — 93-93-81; კორექტორები — 93-97-49

ИНДЕКС 66418
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 03903